განკარგულება:**g-49. 4926196001**
თარიღი:**15/07/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2026-2027 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 ივლისის N48-4826194115 წერილი, რომლითაც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2026-2027 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვასა და მოწონებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე**:**

1. მოწონებულ იქნეს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2026-2027 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები წარმოდგენილი დანართის მიხედვით (თან ერთვის).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულებაშეიძლება გასაჩივრდეს კანონითდადგენილიწესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართიქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

რგ(პ)ფ ფონდის მიერ 2026-2027 წელს დასაფინანსებელი პროექტები		
N	**პროექტის დასახელება**	**პროექტის სრული ღირებულება**
1	სოფელ ხომულში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	80 857,00
2	სოფელ ცხუნკურში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	778 098,00
3	სოფელ ყუმისთავში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	300 008,00
4	სოფელ ქვიტირში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	247 291,00
5	სოფელ ქვილიშორში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	668 781,00
6	სოფელ ქვედა მესხეთში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	1 801 792,00
7	სოფელ წყალტუბოში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	1 153 223,00
8	სოფელ რიონში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	698 937,00
9	სოფელ ოფშკვითში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	1 074 995,00
10	სოფელ მაღლაკში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	2 726 753,00
11	სოფელ გუმბრაში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	2 155 020,00
12	სოფელ გეგუთში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	418 864,00
13	სოფელ ბანოჯაში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	415 551,00
14	ქ. წყალტუბოში გ. ტაბიძის ქუჩის №1, №1ა, №3, №3ა, და №5 ბინების მიმდებარედ გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	585 913,00
15	ქ.წყალტუბოში ჭავჭავაძის ქუჩის გზის რეაბილიტაცია ა/ბეტონის საფარით	576 233,00
16	ქ.წყალტუბოში ბესიკის ქუჩის გზის რეაბილიტაცია ა/ბეტონის საფარით	669 535,00
17	ქ.წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩის გზის რეაბილიტაცია ა/ბეტონის საფარით	820 868,00
18	ქ.წყალტუბოში რუსთაველის ქუჩაზე (სასტუმრო პრომეთეს მიმდებარედ) არსებულ მოედანზე, უსაფრთხოების კუნძულების, სარწყავი სისტემის და ქუჩის საათის მოწყობის სამუშაოები	580 625,00
	ჯამი	15 753 344,00